თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №602057

ნომერი: AR1115421

თარიღი : 12.03.2013

გაცემის თარიღი : 21.03.2013

გაცნობის თარიღი : 22.03.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 77-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 77 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიბარიდ ბეგლარაშვილი პ/ნ 01007005324
- თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. N 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პაუხად გაცნობებთ, შემდეგს:

წარმოდგენილი ფოტომონტაჟის და "ფაილის მიმაგრები"–ს ველში ატვირთული დოკუმენტის მიხედვით ობიექტი სცდება I კლასის მახასიათებლებს, რადგან ხდება არსებულ შენობაზე მიშენება და განიხილება, როგორც რეკონსტრუქცია, რომელზეც მშენებლობის მისაღებას საჭიროა სამი სტადიის გავლა. პირველი სტადია– ქალაქთმშენებლობით პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება), მეორე სტადია–არქიტექტურულ– სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება), მესამე სტადია– მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ამავდროულად კვლავ გიმეორებთ : ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ- ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) და ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად წარმოდგენილი სახით შენობის განთავსება.

ამასთან გაითვალისწინეთ, მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში, სადაც კ1-0.7, გამომდინარე აქედან, ვინაიდან არსებული მდგომარეობით კ1 უკვე გადაჭარბებულია და ახალი შენობა/ნაგებობის მშენებლობით კიდევ უფრო გაიზრდება, აღნიშნული საჭიროებს სპეციალურ ზონალურ ნებართვას კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით. რის გამოც აღნიშნული საკითხი თქვენს მიერ გატანილ უნდა იქნას ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.